

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი
 SDS
 შედგენილია თანახმად ევროკავშირის რეგულაციის EC 1272/2008
 და რეგლამენტის „REACH № 1907/2006

სექცია 1 ნივთიერების/ნარევის და მწარმოებლის/მომწოდებლის იდენტიფიკაცია	
1.1. ნარევი	
სავაჭრო დასახელება:	„ZOMA K10“
CAS#	-
გამოყენების სფერო და უსაფრთხოების რეკომენდაციები	
გამოყენების სფერო	Zoma K10 არის მრავალკომპონენტური (ბენზალკონიუმის ქლორიდი- 15 %; 2-პროპანოლი - 3,0 %; ლიმონენი - 0,50 %; PEG-40 ჰიდროგენირებული აბუსალათინის ზეთი - 0,01 %; სპირტები, C13-15-განშტოებული და სწორხაზოვანი - 1,50 %; ნატრიუმის კარბონატი - 2,0 %; ლაურამინის ოქსიდი -1,25 %; მონოეტანოლამინი -2,0%), თხევადი მაღალკონცენტრირებული სარეცხი/საწმენდი სადეზინფექციო საშუალება კვების ობიექტებში მოწყობილობების ზედაპირების ერთ ეტაპად გარეცხვისა და დეზინფექციისთვის. იგი ერთდროულად წმენდს და ახდენს ყველა მყარი, წყალგამძლე ზედაპირის (მეტლახი, ლამინატი, პლასტიკი, მინა, მეტალი, დაცული ხე, წყალგამძლე საღებავით შეღებილი ზედაპირები, ბუნებრივი და არაბუნებრივი ქვა) დეზინფექციას. პროდუქტი გამოიყენება კვების ობიექტებში, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, სატრანსპორტო საშუალებებში, ღია და დახურულ სივრცეებში - მოწყობილობების ზედაპირების გაწმენდისათვის.
უსაფრთხოების რეკომენდაციები	მაღალკონცენტრირებული სარეცხი/საწმენდი სადეზინფექციო საშუალება „Zoma K10“ არის პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის ან მოვლის სამომხმარებლო პროდუქცია, რომელიც უსაფრთხოა მომხმარებლისათვის ნორმალური და გონივრული გამოყენების პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს სამომხმარებლო პროდუქცია არ განიხილება, როგორც საშიში, წარმოდგენილი უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი (SDS) შეიცავს უსაფრთხოების მნიშვნელოვან ინფორმაციას სამუშაო ადგილის პირობებში მისი წარმოების დროს. რაც შეეხება მომხმარებლის უსაფრთხოებას, SDS -ში მოყვანილია შესაძლო საფრთხეები უჩვეულო და გაუთვალისწინებელი ექსპოზიციის დროს, როგორიცაა სითხის დიდი რაოდენობის დაღვრა, ხანძარი,

	პიროვნების ინდივიდუალური მგრძნობელობა და სხვ. რაც გათვალისწინებული უნდა იქნას მოხმარებისას. პრეპარატის გამოყენების კონკრეტული მითითებები მოყვანილია ინსტრუქციაში.
მონაცემები მწარმოებლისა შესახებ	
კომპანიის დასახელება	„კლინტექი“
მისამართი	ქ. თბილისი, ავ. ზურაბაშვილის ქ. № 5
ტელეფონი	+995 591 941 590
ელ. ფოსტა	law@zoma.ge
სხვა	-----
საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში სასწრაფო კონსულტაციის ტელეფონის ნომერი: 112	
სექცია 2 საშიშროების/ების იდენტიფიკაცია მაღალკონცენტრირებული სარეცხი/საწმენდი სადეზინფექციო საშუალება „Zoma K10“ - ის საშიშროება იდენტიფიცირებულია შემადგენელი კომპონენტების მიხედვით	
2.1. კლასიფიკაცია ევროკავშირის რეგულაციის (EC) No 1272/2008 (CLP)–ის თანახმად. პროდუქტის „Zoma K10“ - ს შემადგენელი ნივთიერებების კლასიფიკაცია: 1). N-ალკილმეთილბენზილ ამონიუმ ქლორიდი (ბენზალკონიუმ ქლორიდი) -15% კლასიფიკაცია მწვავე ტოქსიკურობა, პერორალური: კატეგორია 4; კანის კოროზია : კატეგორია 1B; თვალის სერიოზული დაზიანება: კატეგორია 1; მწვავე ტოქსიკურობა წყლის ორგანიზმებისათვის: კატეგორია 1; M-ფაქტორი - წყლის ორგანიზმებისათვის: 1 <i>საშიშროების მახასიათებელი H - ფრაზები:</i> H302-მაგნებელია გადაყლაპვისას; H314 -იწვევს ქიმიურ დამწვრობას კანზე და თვალში მოხვედრისას; H318 -თვალში მოხვედრისას იწვევს შეუქცევად პროცესებს; H400 - უაღრესად ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისთვის; <i>გამაფრთხილებელი ღონისძიებების მახასიათებელი P -ფრაზები:</i> P270 -პროდუქტით სარგებლობისას არ მოწიოთ, არ დალიოთ და არ მიიღოთ საკვები; P273 - მთარიდეთ გარემოში მოხვედრას; P280 - გამოიყენეთ ხელთათმანები/სპეცტანსაცმელი/თვალის და სახის დამცავი საშუალებები; P301+P330+P310-გადაყლაპვის დროს: გამოირეცხეთ პირის ღრუ და სასწრაფოდ მიმართეთ სამედიცინო დახმარებას; P303+P361+P353-კანზე (ან თმებზე) მოხვედრისას: სასწრაფოდ გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი მთლიანად, კანი ჩამოირეცხეთ წყლით ან შხაპით. P305+P351+P338-თვალებში მოხვედრისას: ფრთხილად დაიბანეთ თვალები რამდენიმე წუთის განმავლობაში. მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუკი ადვილად მოიხსნით. გააგრძელეთ თვალების დაბანა;	

2). N-ალკილმეთილბენზილ ამონიუმ ქლორიდი (ბენზალკონიუმ ქლორიდი), 3-პროპანდიამინი, N-(3-ამინოპროპილ)-N-დოდეცილი - 6 %.

კლასიფიკაცია

მწვავე ორალური ტოქსიკურობა (კატეგორია 3);

კანის კოროზია, (კატეგორია 1B);

სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობა, განმეორებითი ექსპოზიციის დროს (კატეგორია 2)

მწვავე საშიშროება წყლის ბინადართათვის, (კატეგორია 1);

ქრონიკული საშიშროება წყლის ბინადართათვის, (კატეგორია 1);

საშიშროების მახასიათებელი H - ფრაზები:

H₃₀₁ - ტოქსიკურია გადაყლაპვისას;

H₃₁₄ - იწვევს ქიმიურ დამწვრობას კანზე და თვალში მოხვედრისას;

H₃₇₃ - შესაძლოა დააზიანოს ორგანოები, მრავალგზის ან ხანგრძლივი ზემოქმედებისას;

H₄₀₀ - უაღრესად ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისთვის;

H₄₁₀ - განსაკუთრებულად ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით.

გამაფრთხილებელი ღონისძიებების მახასიათებელი P -ფრაზები:

P₂₃₃ - მოათავსეთ მჭიდროდ დახურულ კონტეინერში.

P₂₆₁ - მოერიდეთ ორთქლის ჩასუნთქვას.

P₂₆₄-სამუშაოს შემდეგ საგულდაგულოდ დაიბანეთ ხელები;

P₂₇₀-პროდუქციით სარგებლობისას არ მოწიოთ, არ დალიოთ და არ მიიღოთ საკვები;

P₂₆₀-არ შეისუნთქოთ აირი/ორთქლი/მტვერი/აეროზოლები;

P₂₈₀-გამოიყენეთ ხელთათმანები/სპეცტანსაცმელი/თვალის და სახის დამცავი საშუალებები;

P₂₇₃-მოერიდეთ გარემოში მოხვედრას;

P₃₀₁+P₃₃₀+P₃₁₀-გადაყლაპვის დროს: გამოირეცხეთ პირის ღრუ და სასწრაფოდ მიმართეთ სამედიცინო დახმარებას;

P₃₀₃+P₃₆₁+P₃₅₃-კანზე (ან თმებზე) მოხვედრისას: სასწრაფოდ გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი მთლიანად, კანი ჩამოირეცხეთ წყლით ან შხაპით.

P₃₆₃-განმეორებითი გამოყენებამდე გარეცხეთ დაბინძურებული ტანსაცმელი;

P₃₀₄+P₃₄₀-შესუნთქვისას: გაიყვანეთ დაზარალებული სუფთა ჰაერზე და მოათავსეთ მშვიდ გარემოში სუნთქვისათვის მოსახერხებელ მდგომარეობაში;

P₃₀₅+P₃₅₁+P₃₃₈-თვალებში მოხვედრისას: ფრთხილად დაიბანეთ თვალები რამდენიმე წუთის განმავლობაში. მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუკი ადვილად მოიხსნით. გააგრძელეთ თვალების დაბანა;

3). 2-პროპანოლი, (იზოპროპანოლი, იზოპროპილის სპირტი)- 0,06-3%:

კლასიფიკაცია

აალებადი სითხე, კატეგორია 2;

თვალის გაღიზიანება, კატეგორია 2,

სამიზნე ორგანოს სპეციფიკური ტოქსიკურობა- ერთჯერადი ექსპოზიცია: კატეგორია 3, (ცენტრალური ნერვული სისტემა),

საშიშროების მასსიათებელი H - ფრაზები:

H₂₂₅ – აალებადი სითხე და ორთქლი

H₃₁₅ -კანზე მოხვედრისას იწვევს გაღიზიანებას;

H₃₁₉ -თვალში მოხვედრისას იწვევს გამოხატულ გაღიზიანებას.

H₃₃₆ – შეიძლება გამოიწვიოს ძილიანობა ან თავბრუსხვევა
გამაფრთხილებელი ღონისძიებების მახასიათებელი P -ფრაზები:

P280 ატარეთ დამცავი ხელთათმანები.

P210 –მოერიდეთ სითბოს, ცხელ ზედაპირებს, ნაპერწკლებს, ღია ცეცხლს და ანთების
სხვა წყაროებს. არ მოწიოთ.

P261 მოერიდეთ ორთქლის შესუნთქვას.

P305 + P351 + P338 -თვალეში მოხვედრისას: ფრთხილად დაიბანეთ თვალები რამდენიმე
წუთის განმავლობაში. მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუკი ადვილად მოიხსნით.
გააგრძელეთ თვალების დაბანა;

4). ლიმონენი (D-ლიმონენი)– 0,01-0,5%

კლასიფიკაცია

აალებადი სითხე (კატეგორია 3);

კანის გაღიზიანება (კატეგორია 2),

კანის სენსიბილიზაცია (კატეგორია 1),

ასპირაციის საშიშროება (კატეგორია 1),

მწვავე ტოქსიკურობა წყლის ორგანიზმებისთვის (კატეგორია 1),

ქრონიკული ტოქსიკურობა წყლის ორგანიზმებისთვის (კატეგორია 1),

საშიშროების მასსიათებელი H - ფრაზები:

H226 -აალებადი სითხე. ორთქლი წარმოქმნის ჰაერთან ფეთქებადსაშიშ ნარევებს;

H315 -კანზე მოხვედრისას იწვევს გაღიზიანებას;

H317 -კანზე მოხვედრისას შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია;

H304 -შესაძლოა იყოს სასიკვდილო გადაყლაპვის და შემდგომ სასუნთქ გზებში მოხვედრისას;

H400 - უადრესად ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისთვის;

H410 -განსაკუთრებულად ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი
შედეგებით.

5) PEG-40 ჰიდროგენირებული აბუსალათინის ზეთი

(პოლიოქსიეთილენი ჰიდროგენირებული აბუსალათინის ზეთი) 0.02% - 1%

მწვავე ტოქსიკურობა

LD50 ორალური - ვირთაგვა- > 20.000 მგ/კგ

LC50 ინჰალაცია - ვირთაგვა - 4 სთ - > 2,06 მგ/ლ

კლასიფიკაცია

არ აკლასიფიცირდება როგორც საშიში ნივთიერება ან ნარევი (EC) No1272/2008 რეგულაციის
მიხედვით.

6) აზორუბინი (E122) 0,00 –0,01%

კლასიფიკაცია

კანის გაღიზიანება - კატეგორია 2

თვალის გაღიზიანება - კატეგორია 2

სამიზნე ორგანოს სპეციფიკური ტოქსიკურობა ერთჯერადი ექსპოზიცია - კატეგორია 3

სასიგნალო სიტყვა: ფრთხილად!

საშიშროების მახასიათებელი H ფრაზები:

H315-იწვევს კანის გაღიზიანებას

H319 -იწვევს თვალის გამოხატულ გაღიზიანებას

H335 - შეიძლება გამოიწვიოს რესპირატორული გაღიზიანება

გამაფრთხილებელი P ფრაზები:

P261- მოერიდეთ ჩასუნთქვას მტვრის/ორთქლის/აირის/ ნისლის/ აეროზოლის

P280 - ატარე დამცავი ხელთათმანები

P302+ P352 - კანზე მოხვედრისას ჩამოირეცხე დიდი რაოდენობა წყლით

P305+ P351+ P338 -თვალში მოხვედრისას რამოდენიმე წუთის განმავლობაში ჩამოირეცხე წყლით

7) სპირტები, C13-15--განშტოებული და ხაზოვანი, ბუთოქსილირებული ეთოქსილირებული – 03% - 1.50%

კლასიფიკაცია

LD50 (გამოთვლილი)> 2000მგ/კგ

მწვავე ტოქსიკურობა, კატეგორია 4; H302- მავნეა გადაყლაპვისას

თვალის გაღიზიანება, კატეგორია 2; H319 -იწვევს თვალის გამოხატულ გაღიზიანებას

გამაფრთხილებელი ფრაზები:

P264 –დამუშავების შემდეგ კანი კარგად დაიბანეთ.

P270- პროდუქტთან მუშაობისას ნუ დაღევთ, ნუ შეჭამთ და ნუ მოწევთ

P273- მოერიდეთ გარემოში გაფრქვევას.

P280- ატარეთ დამცავი ხელთათმანები/ტანსაცმელი/თვალის დამცავი/სახის დამცავი.

P301+P310 - გადაყლაპვისას დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.

P305+P351+P338 - თვალში მოხვედრისას, ფრთხილად დაიბანეთ თვალები რამდენიმე წუთის განმავლობაში. მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუკი ადვილად მოიხსნით. გააგრძელეთ თვალების დაბანა;

P501 - განათავსეთ კონტეინერი და შიგთავსი თანახმად ეროვნული რეგულაციის

8). ნატრიუმის კარბონატი (კალცინირებული ნატრიუმი) - 0,04–2,0 %

მწვავე ტოქსიკურობა

LD50 პერორალური- ვირთაგვა- დედალი და მამალი - 2.800 მგ/კგ

LC50 ინჰალაცია- ვირთაგვა- მამალი - 2 სთ - 2.300 მგ/ლ

LD50 დერმალური - კურდღელი - > 2.000 მგ/კგ

კლასიფიკაცია

თვალის გაღიზიანება, კატეგორია 2,

საშიშროების მახასიათებელი H - ფრაზები:

H319 - იწვევს თვალის გამოხატულ გაღიზიანებას.

P264 –დამუშავების შემდეგ კანი კარგად დაიბანეთ.

P280- დაიცავით თვალები და სახე

P305 + P351 + P338 IF IN EYES: -თვალებში მოხვედრისას: ფრთხილად დაიბანეთ თვალები რამდენიმე წუთის განმავლობაში. მოიხსენიეთ კონტაქტური ლინზები, თუკი ადვილად მოიხსნით. გააგრძელეთ თვალების დაბანა;

P337 + P313 თუ თვალის გაღიზიანება გრძელდება: მიმართეთ სამედიცინო დახმარებას.

9). ლაურამინის ოქსიდი (ლაურილდიმეთილამინის ოქსიდი, დოდეცილდიმეთილამინის ოქსიდი) -

კლასიფიკაცია

კანის გაღიზიანება (კატეგორია 2),

თვალის სერიოზული დაზიანება (კატეგორია 1),

მწვავე ტოქსიკურობა წყლის ორგანიზმებისთვის (კატეგორია 1),

ქრონიკული ტოქსიკურობა წყლის ორგანიზმებისთვის (კატეგორია 2),

H315 -კანზე მოხვედრისას იწვევს გაღიზიანებას;

H318 - იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას.

H₄₀₀ - უადრესად ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისთვის;

H411 - ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით.

10). მონოეთანოლამინი (MEA, 2-ამინოეთანოლი)

კლასიფიკაცია

მწვავე ტოქსიკურობა, პერორალური (კატეგორია 4),

მწვავე ტოქსიკურობა, ინჰალაციური (კატეგორია 4),

მწვავე ტოქსიკურობა, დერმალური (კატეგორია 4),

კანის კოროზია (ქვე-კატეგორია 1B),

თვალის სერიოზული დაზიანება (კატეგორია 1),

სპეციფიკური სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობა, ერთჯერადი ექსპოზიციისას (კატეგორია 3),
რესპირატორული სისტემა,

ქრონიკული ტოქსიკურობა წყლის ორგანიზმებისთვის (კატეგორია 3),

საშიშროების მახასიათებელი H - ფრაზები:

H302-მავენებელია გადაყლაპვისას;

H314 -იწვევს ქიმიურ დამწვრობას კანზე და თვალში მოხვედრისას;

H318 -თვალში მოხვედრისას იწვევს შეუქცევად პროცესებს;


H312 -მავენა კანზე მოხვედრისას;

H332 -მავენა შესუნთქვისას;

H335 - შესაძლოა გამოიწვიოს ზედა სასუნთქი გზების გაღიზიანება;

H412 -მაგწებელია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით.

2.2. ნიშანდების ელემენტები - (1,3-Propanediamine,N-(3-aminopropyl)-N-dodecyl) - მიხედვით



სასიგნალო სიტყვა: საშიშია

სექცია 3. შემადგენლობა/ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ ნარევი.

№	სახელწოდება IUPAC-ის მიხედვით	ემპირიული ფორმულა	მოლეკულური მასა, გ/მოლი	CAS #	კონცენტრაცია (%), გ/100გ
1.	N-ალკილმეთილბენზილ ამონიუმ ქლორიდი (ბენზალკონიუმ ქლორიდი) N-Alkyldimethylbenzyl ammonium chloride (Benzalkonium chloride)	-	-	63449-41-2	0.30% - 15%
2.	1,3-პროპანდიამინი,N-(3-ამინოპროპილ)-N-დოდეცილი 1,3-Propanediamine, N-(3-aminopropyl)-N-dodecyl	C ₁₈ H ₄₁ N ₃	299,6	2372-82-9	0.12% - 6%

3.	2-პროპანოლი, (იზოპროპანოლი, იზოპროპილის სპირტი) 2-Propanol, (Isopropanol, Isopropyl alcohol)	C_3H_8O	60,1	67-63-0	0.06% - 3%
4.	ლიმონენი (D-ლიმონენი) Limonene (D-Limonene)	$C_{10}H_{16}$	136,23	5989-27-5	0.01% - 0.50%
5.	PEG-40 ჰიდროგენირებული აბუსალათინის ზეთი (პოლიოქსიეთილენი ჰიდროგენირებული აბუსალათინის ზეთი) PEG-40 Hydrogenated Castor Oil (Polyoxyethylene Hydrogenated Castor Oils)	-	-	61788-85-0	0.02% - 1%
6.	აზორუბინი (E122) Azorubin (E122)	$C_{20}H_{12}N_2Na_2O_7S_2$	502,43	3567-69-9	0.00% - 0.01%
7.	სპირტები, C13-15- განშტოებული და ხაზოვანი, ბუტოქსილირებული ეთოქსილირებული Alcohols, C13-15-branched and linear, butoxylated ethoxylated	$C_{12}-C_{18}$	-	111905-53-4	0.03% - 1.50%
8.	ნატრიუმის კარბონატი (კალცინირებული სოდა) Sodium Carbonate (Calcined Soda)	Na_2CO_3	105.99	497-19-8	0.04% - 2%
9.	ლაურამინის ოქსიდი (ლუარილდიმეთილამინ ის ოქსიდი, დოდეცილდიმეთილამინ ის ოქსიდი) Lauramine oxide (Lauryldimethylamine oxide, Dodecyldimethylamine oxide)	-	-	1643-20-5	0.03% - 1.25%
10.	მონოეთანოლამინი (MEA, 2-ამინოეთანოლი) Monoethanolamine (MEA, 2-Aminoethanol)	C_2H_7NO	61,08	141-43-5	0.04% - 2%
11.	დეიონიზირებული წყალი	H_2O	18	7732-18-5	100 %

სექცია 4. პირველადი დახმარების ზომები

4.1. ჩასუნთქვისას: დაზარალებული დაუყონებლივ გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე. დააწვინეთ. შეუქმენით სითბო და მოსვენება. თუ არ სუნთქავს, ჩაუტარეთ ხელოვნური სუნთქვა, მიმართეთ ექიმს. პირველადი დახმარების პროცედურის დაწყებამდე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მოხსენით პროთეზი, რომ არ დაიხშოს სასუნთქი გზები.	
4.2. კანთან შეხებისას: ჩამოიბანეთ საპნით და დიდი რაოდენობის წყლით, კონსულტაციისთვის მიმართეთ ექიმს.	
4.3. თვალებთან შეხებისას: სასწრაფოდ და გულდასმით ჩამოიბანეთ თვალები დიდი რაოდენობა წყლით 15 წუთის განმავლობაში. მიმართეთ ექიმს.	
4.4. გადაყლაპვისას: ნუ გამოიწვევთ პირღებინებას. თუ დაზარალებულს აღებინებს, დაუხარეთ თავი წინ ან მოათავსეთ მარცხენა მხარეს (თავით-ქვემოთ, თუ ეს შესაძლებელია), სასუნთქი გზების გასანთავისუფლებლად და ასპირაციის თავიდან ასაცილებლად. ყურადღებით დააკვირდით დაზარალებულს. თუ შეამჩნევთ, რომ მას აღენიშნება ძილიანობა ან ცნობიერების დაქვეითება, არავითარ შემთხვევაში არ მისცეთ წყალი; გამოურეცხეთ პირი წყლით, შემდეგ ნელ-ნელა მიაწოდეთ სითხე, ისე, რომ დაზარალებულმა შეძლოს მისი წყნარად დალევა. მიმართეთ სამედიცინო დახმარებას.	
სექცია 5 ხანძარსაწინააღმდეგო ზომები	
5.1. ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები	ალკოჰოლისადმი მდგრადი ქაფი, მშრალი ჩასაქრობი ფხვნილი, ნახშირბადის დიოქსიდი (CO₂). წყლის შხეფები ან ქაფი (დიდი ხანძრის შემთხვევაში)
5.2. წვის საშიში პროდუქტები:	ხანძრის შემთხვევაში შეიძლება გამოიყოს ნახშირბადის მონოოქსიდი (CO), ნახშირბადის დიოქსიდი (CO₂).
5.3. ხანძართან შეუთავსებელი პროდუქტები	მოერიდეთ ძლიერ დამჟანგველებს აალების თავიდან ასაცილებლად.
5.4. რჩევები მეხანძრეებს	შეატყობინეთ სახანძრო რაზმს საშიშროების ადგილმდებარეობა და თავისებურება. შეიძლება იყოს აგრესიული და ფეთქებადსაშიში. ხანძრის დროს ატარეთ სასუნთქი მოწყობილობა და დამცავი ხელთათმანები. ნებისმიერი საშუალებით ხელი შეუშალეთ კანალიზაციაში გაჟონვას. გაითვალისწინეთ ევაკუაციის შესაძლებლობა ან ადგილობრივი უსაფრთხოება. ებრძოლეთ ალს უსაფრთხო მანძილიდან, სათანადო საფარით. გამორთეთ ელექტრომოწყობილობები.

	ალის გასაკონტროლებლად და მიმდებარე ზონის გასაგრძელებლად გამოიყენეთ წყლის წვრილი აეროზოლი. არ შეეხოთ ცხელ კონტეინერებს. ალში მყოფი კონტეინერები გააგრძელეთ წყლის შხეფებით დაცული ადგილიდან. ფრთხილად გაიტანეთ კონტეინერები ხანძრის ზონიდან.
5.5. ხანძრის / აფეთქების საშიშროება	სითხე და ორთქლი ძალიერ აალებადია. სიცხის, ცეცხლის ან/და ოქსიდანტების ზემოქმედება აძლიერებს ხანძრის საშიშროებას. ჰაერთან შეხებისას ორთქლი ფეთქებად ნარევს ქმნის. ცეცხლთან ან ნაპერწკალთან ორთქლის შეხება აფეთქების სერიოზულ საფრთხეს ქმნის. ორთქლი შესაძლებელია მნიშვნელოვან მანძილზე გავრცელდეს. გათბობამ შეიძლება გამოიწვიოს გაფართოება/ძლიერმა რღვევამ შეძლება გამოიწვიოს კონტეინერის დაშლა. წვის დროს გამოიყოფა ტოქსიკური ნახშირბადის ოქსიდი (CO). წვის პროდუქტებია: ნახშირბადის დიოქსიდი (CO₂), აზოტის ოქსიდები (NO_x), ორგანული წვისათვის დამახასიათებელი პირობების სხვა პროდუქტები.
სექცია 6. ავარიული დაღვრის/გამოყოფის სალიკვიდაციო ღონისძიებები	
დაღვრის სალიკვიდაციო სამუშაო უნდა შეასრულოს მხოლოდ სათანადოდ მომზადებულმა და აღჭურვილმა პირებმა. ატარეთ თვალების, ხელების და რესპირატორული დაცვის საშუალებები და დამცავი ტანსაცმელი; თუ შესაძლებელია, უსაფრთხოდ შეაჩერეთ დაღვრა პირველადი წყაროდან. მოახდინეთ დაღვრილი სითხის იზოლირება.	
6.1. პირადი სიფრთხილის ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები	გამოიყენეთ პერსონალური დამცავი აღჭურვილობა. თავიდან აიცილეთ ორთქლის და აირების ჩასუნთქვა. უზრუნველყავით ადეკვატური ვენტილაცია. გადაიყვანეთ პერსონალი უსაფრთხო ადგილზე.
6.2. გარემოს დაცვის ზომები	დაუშვებელია სითხის ჩაღვრა სადრენაჟე არხებში.
სექცია 7. მოპყრობა და შენახვა	
7.1. უსაფრთხო მოპყრობის ღონისძიებები:	პრეპარატის წარმოებისა და გამოყენების დროს აუცილებელია სამუშაო ადგილზე იყოს ადეკვატური ვენტილაცია. კონტაქტში მყოფმა დასაქმებულმა პირებმა უნდა გამოიყენონ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები: რესპირატორი, სათვალე, რეზინის

	ხელთათმანი, კომბინიზონი, რეზინის ფეხსაცმელები, რაც მუშაობის დამთავრებისთანავე უნდა გაირეცხოს. სითხე ადვილად აალებადია! არ დაუშვათ ღია ცეცხლთან კონტაქტი. გამორთეთ ელექტრომოწყობილობები. არ მოწიოთ. არ ჩარეხოთ გაუზავებელი პრეპარატი კანალიზაციაში და სათევზე მეურნეობის წყალსატევებში. პრეპარატი შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას. პრეპარტთან მუშაობისას არ შეიძლება საჭმლის მიღება, დალევა, თამბაქოს მოწევა. მოერიდეთ კონტაქტს თვალებთან და კანთან. მოხმარების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
7.2. უსაფრთხო შენახვის პირობები, შეუთავსებლობის ნებისმიერი ფაქტორის გათვალისწინებით	შეინახეთ მჭიდროდ თავდახურულ კონტეინერში, გრილ, მშრალ და კარგად ვენტილირებად სათავსოში. მოარიდეთ დამუქანგეულებს, ნაპერწკალს, ღია ალს და სიციხეს.
სექცია 8 ექსპოზიციის კონტროლი/პერსონალის პირადი დაცვის საშუალებები	
8.1. ზღვ. სამუშაო ადგილზე	_____
8.2. ტექნიკური კონტროლის ღონისძიებები	მოერიდეთ კანთან, თვალებთან და ტანსაცმელთან კონტაქტს. მოეპყარით სამრეწველო ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების შესაბამისად. დაიბანეთ ხელები საკვების მიღების წინ, შესვენებამდე და სამუშაო დღის ბოლოს.
8.3. ინდივიდუალური დაცვისა და აღჭურვილობის საშუალებები	     ატარეთ რესპირატორი, სათვალე, რეზინის ხელთათმანი, კომბინიზონი, რეზინის ფეხსაცმელები, რაც მუშაობის დამთავრებისთანავე უნდა გაირეცხოს.
სექცია 9 ფიზიკო-ქიმიური თვისებები („ZOMA K 10“)	
ა) აგრეგატული მდგომარეობა: სითხე ფერი - გამჭირვალე მოწითალო ფერის ხსნარი ბ) სუნი: დამახასიათებელი/სპეციფიკური სუნით. კონცენტრატის სიმკვრივე - 0.99 2%-იანი ხსნარის სიმკვრივე - 1.00 1%-იანი ხსნარის სიმკვრივე - 1.00 კონცენტრატის pH - 11.37 2%-იანი ხსნარის pH - 10.27	

1%- იანი ხსნარის pH -10.25	
სექცია 10 სტაბილურობა და რეაქციის უნარი	
10.1.რეაქტიულობა და ქიმიური სტაბილურობა	პროდუქტი ითვლება სტაბილურად. საშიში პოლიმერიზაცია არ წარმოიქმნება. არასტაბილურია შეუთავსებელ მასალებთან.
10.2.საშიში რეაქციების შესაძლებლობები	არ არის მონაცემი
10.3.თავიდან ასაცილებელი საშიში პირობები	სითბო, ღია ცეცხლი, ნაპერწკალი, ასაფეთქებელი ნივთიერებები.
10.4.შეუთავსებელი მასალები	იხილე სექცია 7
10.5. დაშლის საშიში პროდუქტები	იხილე სექცია 5
სექცია 11 ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია	
ტოქსიკურობის პარამეტრები განისაზღვრა შემადგენელი აქტიური ინგრედიენტების საფუძველზე. 11.1. N-ალკილმეთილბენზილ ამონიუმ ქლორიდი (ბენზალკონიუმ ქლორიდი) მწვავე ტოქსიკურობა: LD50 ორალური, ვირთაგვა - 1001 მგ/კგ; LD50 დერმალური, ვირთაგვა - > 2000 მგ/კგ; გადაცლაპვის შემთხვევაში - ლორწოვანი გარსის გაღიზიანება, ხველა, ქოშინი, სასუნთქი გზების დაზიანება, პირის ღრუს და ყელის მძიმე დამწვრობა, აგრეთვე საცლაპავისა და კუჭის პერფორაციის საშიშროება. საზიანოა გადაცლაპვისას იწვევს კანის ძლიერ დამწვრობას და თვალის დაზიანებას. ძლიერ ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის 11.2. 1,3-პროპანდიამინი, N-(3-ამინოპროპილ)- N-დოდეცილი - 6% მწვავე ტოქსიკურობა, ორალური - კატეგორია 3 კანის კოროზია, კატეგორია 1B სამიზნო ორგანოს სპეციფიკური ტოქსიკურობა, მრავალჯერადი ექსპოზიცია, კატეგორია 2 საშიშია წყლის ბინადართათვის, მოკლე-ვადიანი (მწვავე) - კატეგორია მწვავე 1 საშიშია წყლის ბინადართათვის, გრძელ-ვადიანი (ქრონიკული) - კატეგორია ქრონიკული 1 H400, M=102.2. პიკტოგრამები	



სასიგნალო სიტყვა: საშიშია

11.3. 2- პროპანოლი (იზოპროპანოლი, იზოპროპილის სპირტი)

მწვავე ტოქსიკურობა:

LD50 ორალური, ვირთაგვა - 5840 მგ/კგ;

LD50 დერმალური, კურდღელი - 12800 მგ/კგ;

LC50 ინჰალაციური, ვირთაგვა, დედალი-მამალი, (ექსპოზიცია 4 სთ.) - 37,5 მგ/ლ

11. 4. ლიმონენი (D-ლიმონენი) - 0,50 %

მწვავე ტოქსიკურობა:

LD50 ორალური, ვირთაგვა, დედალი-მამალი - > 2000 მგ/კგ;

LD50 დერმალური, კურდღელი - > 5000 მგ/კგ;

11.5. PEG-40 ჰიდროგენირებული აბუსალათინის ზეთი (პოლიოქსიეთილენ ჰიდროგენირებული აბუსალათინის ზეთი) - 0,01 %

LD50 ორალური, ვირთაგვა - 20000 მგ/კგ;

LC50 ინჰალაციური, ვირთაგვა, (ექსპოზიცია 4 სთ.) - > 2,06 მგ/ლ

11.6. აზორუბინი (E122) – 0,01%

მწვავე ტოქსიკურობა: არ კლასიფიცირდება

კანის კოროზია/გაღიზიანება – იწვევს კანის გაღიზიანებას

თვალის დაზიანება/ გაღიზიანება - იწვევს თვალის გაღიზიანებას

კანის გაღიზიანება - კატეგორია 2

თვალის გაღიზიანება - კატეგორია 2

სამიზნე ორგანოს სპეციფიკური ტოქსიკურობა ერთჯერადი ექსპოზიცია - კატეგორია 3

სასიგნალო სიტყვა: ფრთხილად!

11.7. სპირტები, C13-15-განშტოებული და სწორხაზოვანი, ბუთოქსილირებული

ეთოქსილირებული - 1,50 %

მწვავე ტოქსიკურობა:

LC50 ინჰალაციური, ვირთაგვა - > 2000 მგ/მ³

11.8. ნატრიუმის კარბონატი (კალცინირებული ნატრიუმი) - 2,0 %

LD50 ორალური, ვირთაგვა, დედალი-მამალი - 28000 მგ/კგ;

LD50 დერმალური, კურდღელი - > 2000 მგ/კგ;

LC50 ინჰალაციური, ვირთაგვა, მამალი, (ექსპოზიცია 2 სთ.) - 2.300 მგ/ლ

11.9. ლაურამინის ოქსიდი (ლუარლიდიმეთილამინის ოქსიდი, დოდეცილდიმეთილამინის ოქსიდი)

- 1,25 %

მწვავე ტოქსიკურობა:

LD50 - ორალური - 2700 მგ/კგ;

კანის კოროზია/გაღიზიანება – კანის გამაღიზიანებელი

თვალის სერიოზული დაზიანება/გაღიზიანება – თვალის გამაღიზიანებელი

იწვევს მუკოზალური მემბრანის გაღიზიანებას.

11.10. მონოეთანოლამინი (MEA, 2-ამინოეთანოლი) -2,0%

მწვავე ტოქსიკურობა:

LD50 ორალური, ვირთაგვა, დედალი-მამალი - 1089 მგ/კგ;

LD50 დერმალური, კურდღელი - 1.015 მგ/კგ;

კანის და თვალის კოროზია - კუდრღლის კანზე და თვალზე ზემოქმედებისას 4 სთ. განამავლობაში იწვევს კანის კოროზიას და თვალების სერიოზულ დაზიანებას.

ფორმულაცია მაღალკონცენტრირებული სარეცხი/საწმენდი სადეზინფექციო საშუალება „Zoma K10“.

ფორმულაციის „Zoma K10“-ს ტოქსიკურობა შეფასდა შემადგენელი ინგრედიენტების (ბენზალკონიუმის ქლორიდი- 15 %; 2-პროპანოლი - 3,0 %; ლიმონენი - 0,50 %; PEG-40 ჰიდროგენირებული აბუსალათინის ზეთი - 0,01 %; სპირტები, C13-15-განშტოებული და სწორხაზოვანი - 1,50 %; ნატრიუმის კარბონატი - 2,0 %; ლაურამინის ოქსიდი -1,25 %; მონოეთანოლამინი -2,0%) ტოქსიკურობის მონაცემების საფუძველზე.

ფორმულაცია მაღალკონცენტრირებული სარეცხი/საწმენდი სადეზინფექციო საშუალება „Zoma K10“

მწვავე ტოქსიკურობა, კატეგორია 4.

თვალის გაღიზიანება (კატეგორია 2);

კანის გაღიზიანება (კატეგორია 3);

სამიზნე ორგანოს სპეციფიკური ტოქსიკურობა, ერთჯერადი ზემოქმედება (კატეგორია 2).

სამიზნე ორგანო - რესპირატორული სისტემა;

ქრონიკული საშიშროება წყლის ბინადართათვის (კატეგორია 2).

ევროკავშირის რეგულაციის (EC) No 1272/2008 (CLP) საფუძველზე მაღალკონცენტრირებული სარეცხი/საწმენდი სადეზინფექციო საშუალება „Zoma K10“ მწვავე ტოქსიკურობის მიხედვით მიეკუთვნება საშიშროების 4 კატეგორიას. არ არის მოსალოდნელი ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენა ნორმალური გამოყენების პირობებში. წარმოდგენილ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში (SDS) მოყვანილი და ეტიკეტზე აღნიშნული უსაფრთხოების ყველა ზომისა და ჰიგიენური მოთხოვნების დაცვა უზრუნველყოფს, როგორც ინდივიდუალურ, ასევე საზოგადოებრივ უსაფრთხოებას.

11.4. არასწორი მოპყრობისა და გადაჭარბებული ექსპოზიციის სიმპტომები და ეფექტები

ინჰალაცია: მასალა შეიძლება იყოს გამაღიზიანებელი ლორწოვანი გარსებისა და რესპირატორული ტრაქტისთვის.

კანთან კონტაქტი: შეიძლება გამოიწვიოს კანის გაღიზიანება.

გადაყლაპვა: შეიძლება გამოიწვიოს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გაღიზიანება, გულისრევა,

დებიდება. თვალთან კონტაქტი: შეიძლება გამოიწვიოს თვალის ლორწოვანი გარსის გაღიზიანება.	
დამატებითი ინფორმაცია: არსებული მონაცემებით, მაღალკონცენტრირებული სარეცხი/საწმენდი სადეზინფექციო საშუალება „Zoma K10“ - ს ქიმიური, ფიზიკური და ტოქსიკოლოგიური თვისებები არ არის საკმარისად შესწავლილი. პრეპარატული ფორმა არ იწვევს კანის გაღიზიანებას. თუმცა, ხანგრძლივი ხმარებისას შეუძლია კანის და თვალის ლორწოვანი გარსის გაღიზიანება.	
სექცია 12 ეკოლოგიური ინფორმაცია სადეზინფექციო საშუალებების, და კერძოდ, „Zoma K10“-ის მ წყლის მობინადრეებზე ნაკლებადაა შესწავლილი. პრეპარატის წყლის გარემოში მოხვედრამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს წყლის მობინადრეებზე, განსაკუთრებით ქვე-ლექტალურ დონეზე. ზედაპირული წყლების, ასევე მუნიციპალური და საავადმყოფოს ჩამდინარე წყლების მართვისას გასათვალისწინებელია სადეზინფექციო საშუალებების მოქმედება წყლის მობინადრეებზე.	
12.1. ეკოტოქსიკურობა (წყალი, მიწისზედა გარემო)	მწვავე ტოქსიკურობის და გამრავლების M ფაქტორის მიხედვით მიეკუთვნება კატეგორია 1.
12.1.1. თევზებისთვის	(ბენზალკონიუმ ქლორიდის LC50 - <i>Lepomis macrochirus</i> - 0,31 მგ/ლ - 96,0 სთ. განმავლობაში
12.2. მდგრადობა და დაშლა	არ არის მონაცემები
12.3. ბიოკუმულაციის პოტენციალი	არ არის მონაცემები
12.4. ნიადაგში გადაადგილება	არ არის მონაცემები
სექცია 13. ნარჩენების მოცილება ნარჩენების უსაფრთხო მოცილების და გაუვნებლობის მეთოდები დაბინძურებული ტარის ჩათვლით.	
13.1. ნარჩენების დამუშავების მეთოდები	ჭარბი და გადამუშავებას დაუქვემდებარებელი ნარჩენები განათავსეთ ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად.
13.2. პროდუქციის/ტარის განთავსება:	გაუვნებლეთ, როგორც გამოუყენებელი პროდუქტი ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად
13.3. ნარჩენების დამუშავება-შესაბამისი კანონმდებლობის მითითებით:	ადგილობრივი კანონმდებლობის, ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად
13.4. საკანალიზაციო ქსელში განთავსება:	დაუშვებელია საკანალიზაციო ქსელში ჩაშვება
სექცია 14 ტრანსპორტირების ინფორმაცია ბენზალკონიუმის ქლორიდის მიხედვით საჭიროებს ეტიკეტს ზღვის დამაბინძურებელი: დიახ	
14.1. გაეროს ნომერი	3265
14.2. გადაზიდვის სათანადო სახელი	-
14.3. ტრანსპორტირების საშიშროების	8

კლასი (ები)	
14.4. შეფუთვის ჯგუფი	II
14.5. გარემოს საშიშროება	საშიშოა წყლის ბინადართათვის
14.6. სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის	არ არის მონაცემი
სექცია 15. მარეგულირებელი ინფორმაცია ნივთიერების/ან ნარევის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის რეგულაციები	
15.1. ევროკავშირის რეგულაციები:	შეესაბამება ევროკავშირის რეგულაციებს EC 1272/2008 და რეგლამენტს „REACH № 1907/2006
15.2. ეროვნული რეგულაციები:	საქართველოს კანონები: საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ, გარემოს დაცვის შესახებ, შრომის კოდექსი, შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონი. ნარჩენების მართვის კოდექსი.
სექცია 16 დამატებითი ინფორმაცია მაღალკონცენტრირებული სარეცხი/საწმენდი სადეზინფექციო საშუალება „Zoma K10“-ს უსაფრთხოების საინფორმაციო ფურცელი შემუშავებულია ფირმის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და ხელმისაწვდომი ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ევროპული რეგულაცია (EC) № 1272/2008 (GHS/CLP) კლასიფიკაციის გათვალისწინებით.	

სს ნ. მახვილამის სახ. შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის
ს/კ ინსტიტუტის გენერალური დირექტორი,
აკადემიური დოქტორი მედიცინაში

რ. ჯავახაძე



რ. ჯავახაძე

ექსპერტი – ინსტიტუტის პროფილაქტიკური
ტოქსიკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი,
აკადემიური დოქტორი მედიცინაში

ი. ღვინერია

ი. ღვინერია

20. 02. 2023 წ.